საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო
Georgian Anti-Doping Agency - GADA

განაცხადი

აკრძალული ნივთიერების თერაპიული გამოყენების გამონაკლისის (თგგ) მოსაპოვებლად

გთხოვთ, შეავსოთ ყველა სექცია. სპორტსმენი ავსებს 1, 2, 3 და 7 სექციებს. ექიმი ავსებს 4, 5 და 6 სექციებს. არასრულყოფილად შევსებული განაცხადი დაუბრუნდება განმცხადებელს განმეორებით შესავსებად.

1. ინფორმაცია სპორტსმენის შესახებ

გვარი: ---------- სახელი: ----------

ქალი: ☐ მამაკაცი: ☐ დაბადების თარიღი: ----------
(რიცხვი/თვე/წელი)

მისამართი: ----------

ქალაქი: ---------- ქვეყანა: ----------

საფოსტო ინდექსი: ---------- ტელეფონი: ----------
(მიუთითეთ საერთაშორისო ინდექსიც)

ელ.ფოსტა: ----------

სპორტის სახეობა: ---------- ქვესახეობა: ----------

2. წარსულში გაკეთებული განაცხადები

წარსულში მიგიმართავთ თუ არა რომელიმე ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის თერაპიული გამოყენების გამონაკლისის მისაღებად, ამავე დაავადების გამო?

დიახ ☐ არა ☐

რომელი ნივთიერებას ან მეთოდს ეხებოდა განაცხადი? ----------

რომელ ორგანიზაციას მიმართეთ? ---------- როდის? ----------

გადაწყვეტილება: ნებართვა ☐ უარი ☐

3. რეტროაქტიური განაცხადები

ეს განაცხადი რეტროაქტიურია?

დიახ ☐ **არა** ☐

თუ დიახ, როდის დაიწყო მკურნალობა? (თარიღი) ----------

აკმაყოფილებთ თუ არა რომელიმე ქვემოთ აღნიშნულ კრიტერიუმს? (მუხლი 4.1., ISTUE):

☐ **4.1 (ა)** - თქვენ გესაჭიროებოდათ გადაუდებელი მკურნალობა სამედიცინო მდგომარეობის გამო

☐ **4.1 (ბ)** - დროის უკმარისობის, შესაძლებლობის არარსებობის ან სხვა განსაკუთრებული გარემოების გამო ვერ ხერხდებოდა თგგ განაცხადის ჩაბარება განსახილველად, ან ვერ ესწრებოდა მისი განხილვა დოპინგ-ტესტირებამდე.

☐ **4.1 (გ)** - არ გქონდათ უფლება, ან არ მოგეთხოვებოდათ, წინასწარ შეგეტანათ განაცხადი თგგ-ს მიღებაზე, შემდეგი ანტიდოპინგური წესის თანახმად: ----------
---

☐ **4.1 (დ)** - თქვენ ხართ ქვედა საფეხურის (თანრიგის) სპორტსმენი, რომელსაც არ ეხება საერთაშორისო ფედერაციის ან ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს იურისდიქცია და მიუხედავად ამისა, ჩაგიტარდათ დოპინგ-ტესტირება.

☐ **4.1 (ე)** - თქვენ მოგივიდათ ტესტის დადებითი პასუხი ისეთი ნივთიერების არასაშეჯიბრო გამოყენების გამო, რომელიც მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდშია აკრძალული, მაგ, S9 გლუკოკორტიკოიდები (იხ. აკრძალული სია)

გთხოვთ, განმარტოთ (აუცილებლობის შემთხვევაში, თან დაურთეთ დამატებითი დოკუმენტები)

Click or tap here to enter text.

☐ **სხვა სახის რეტროაქტიური განაცხადი (მუხლი 4.3., ISTUE)**

იშვიათ და განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევაში, სპორტსმენს აქვს უფლება შეიტანოს განაცხადი რეტროაქტიურ თგგ-ზე, თუნდაც არ აკმაყოფილებდეს არცერთ ზემოთჩამოთვლი კრიტერიუმს, და მიიღოს კიდეც აღნიშნული ნებართვა; ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ანტიდოპინგური კოდექსის მიზნების გათვალისწინებით, ცალსახად და თვალსაჩინოდ უსამართლო იქნებოდა სპორტსმენისთვის რეტროაქტიური თგგ-ს მიუნიჭებლობა.

4.3. მუხლის თანახმად რეტროაქტიური განაცხადის შეტანისას, თან დაურთეთ სრულყოფილი ახსნა-განმარტება და ყველა საჭირო დოკუმენტი.

Click or tap here to enter text.

სექციებს 4, 5 და 6 ავსებს ექიმი

4. სამედიცინო ინფორმაცია (გთხოვთ, თან დაურთოთ შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია)

დიაგნოზი (შეძლებისდაგვარად, გამოიყენეთ ჯანმო-ს ICD 11 კლასიფიკაცია):

Click or tap here to enter text.

5. მედიკამენტთან დაკავშირებული დეტალები

აკრძალული ნივთიერება/ მეთოდი <u>გამოიყენეთ გენერიკული სახელწოდებები</u>	დოზირება	ადმინისტრირების (შეყვანის) გზა	სიხშირე	მკურნალობის ხანგრძლივობა
1.				
2.				
3.				
4.				

განაცხადს თან უნდა ახლდეს დიაგნოზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სამედიცინო ინფორმაცია უნდა მოიცავდეს სრულყოფილ სამედიცინო ანამნეზს და შესაბამისი გასინჯვების, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგებს. სასურველია მოკლე შეჯამება, რომელიც მოიცავს დიაგნოზს, ფიზიკური გასინჯვის საბაზისო მონაცემებს და მკურნალობის გეგმას (ფორმა #100); აგრეთვე შეძლებისდაგვარად - ყველა გამოკვლევის პასუხის ასლი.

თუ მოცემული მდგომარეობის სამკურნალოდ შესაძლებელია ნებადართული მედიკამენტის გამოყენება, განაცხადს თან დაურთეთ დასაბუთება, რატომ არის აუცილებელი მის ნაცვლად აკრძალული მედიკამენტის გამოყენება.

მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს შემუშავებული აქვს ჩამონათვალები, რომლებიც დაეხმარება სპორტსმენებს და მათ ექიმებს სრულყოფილი განაცხადის მომზადებაში. ისინი ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე https://www.wada-ama.org, საძიებო სიტყვის “Checklist”შეყვანის საფუძველზე.

6. ექიმის დეკლარაცია

ვადასტურებ, რომ 4 და 5 სექციებში მოყვანილი ინფორმაცია ზუსტია. ვაცნობიერებ და თანახმა ვარ, რომ ჩემი პირადი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნას ანტიდოპინგური ორგანიზაცი(ებ)ის მიერ ჩემთან კონტაქტის მიზნით, მოცემულ განაცხადთან კავშირში, თგგ პროცესთან დაკავშირებული პროფესიული შეფასების დასაზუსტებლად; ან შემდგომში - ანტიდოპინგური წესების დარღვევის მოკვლევის ან განხილვის პროცესში. ვაცნობიერებ და თანახმა ვარ აგრეთვე, რომ ჩემი პირადი ინფორმაცია ატვირთული იქნება ანტიდოპინგური ადმინისტრირების და მართვის სისტემაში (ADAMS) ზემოთაღნიშნული მიზნებისთვის. (დეტალებისთვის იხ. ADAMS Privacy Policy).

სახელი, გვარი: ----------

სპეციალობა: ----------

საექიმის საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ნომერი: ----------

მასერტიფიცირებელი ორგანო----------

მისამართი: ----------

ქალაქი: ---------- ქვეყანა: ----------

საფოსტო ინდექსი: ----------

ტელეფონი: ---------- ფაქსი: ----------

(მიუთითეთ საერთაშორისო სატელეფონო ინდექსიც)

ელ.ფოსტა: ----------

ექიმის ხელმოწერა: ---------- თარიღი: ----------

7. სპორტსმენის დეკლარაცია

მ ე , ----------, ვადასტურებ, რომ 1, 2, 3 და 7 სექციებში მოყვანილი ინფორმაცია ზუსტი და სრულყოფილია.

ვადასტურებ, რომ თანხმა ვარ, ჩემმა ექიმ(ებ)მა გადასცენ ჩემი სამედიცინო ინფორმაცია და მხარეებს: თგგ განაცხადის განხილვაზე (ნებართვის გაცემაზე, უარყოფაზე ან აღიარებაზე) პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას(ებს); მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას (WADA), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისობა თგგ-ს საერთაშორისო სტანდარტებთან (ISTUE); ექიმებს, რომლებიც არიან შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციების და WADA-ს თგნ კომიტეტების წევრები და რომელთაც შეიძლება დასჭირდეთ ჩემი განაცხადის განხილვა მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში - სხვა დამოუკიდებელ სამედიცინო, სამეცნიერო და იურიდიულ ექსპერტებს.

ვადასტურებ აგრეთვე, რომ თანახმა ვარ, საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ გადასცეს ჩემი თგგ განაცხადი, თანმხლებ სამედიცინო ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან ერთად, სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს და WADA-ს, ზემოთ აღწერილი მიზეზებით; ვაცნობიერებ, რომ ამ ორგანიზაციებს შეიძლება დასჭირდეთ ჩემი განაცხადის და თანმხლები დოკუმენტაციის გადაცემა თავიანთი თგგ კომიტეტების წევრებისთვის და შესაბამისი ექსპერტებისთვის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ვადასტურებ, რომ წავიკითხე და გავიაზრე *თგგ-სთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის დაცვის პოლიტიკა* (მოყვანილია ქვემოთ), სადაც განმარტებულია, როგორ მოხდება ჩემი პირადი ინფორმაციის გავრცელება თგნ განაცხადთან მიმართებაში, და ვეთანხმები წარმოდგენილ პირობებს.

სპორტსმენის ხელმოწერა: ---------- თარიღი: ----------

მშობლის/მეურვის ხელმოწერა: ---------- თარიღი: ----------

(თუ სპორტსმენი არასრულწლოვანია, ან აღენიშნება შეზღუდული შესაძლებლობა, რომელიც ხელს უშლის ამ დოკუმენტზე ხელის მოწერაში, მის სახელით ხელი უნდა მოაწეროს მშობელმა ან მეურვემ.)

პირადი ინფორმაციის დაცვის პოლიტიკა თგგ-ს კონტექსტში

მოცემული ჩანაწერი აღწერს პირადი მონაცემების დამუშავების პროცესს, რომელიც ამოქმედდება თქვენს თგგ განაცხადთან მიმართებაში.

პირადი ინფორმაციის სახეები

- თქვენს მიერ, ან თქვენი ექიმ(ებ)ის მიერ თგგ განაცხადის ფორმით მოწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, საკონტაქტო ინფორმაცია, სპორტის სახეობა და ქვესახეობა, დიაგნოზი, მასთან დაკავშირებული მედიკამენტები და სხვა მკურნალობა);
- თანმხლები სამედიცინო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მოწოდებული თქვენს მიერ, ან თქვენი ექიმ(ებ)ის მიერ;
- ანტიდოპინგური ორგანიზაციების, მათ შორის WADA-ს, მათი თგგ კომიტეტების და სხვა ექსპერტების მიერ თქვენი თგგ განაცხადის შეფასება და გადაწყვეტილებები; აგრეთვე კომუნიკაცია თქვენს, თქვენს ექიმ(ებ)ს, ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს ან დამხმარე პერსონალს შორის, თგგ განაცხადთან დაკავშირებით.

მიზნები და გამოყენება

თქვენი პირადი ინფორმაცია გამოყენებული იქნება თქვენი თგგ განაცხადის დამუშავების და შეფასების მიზნით, თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში. ზოგ შემთხვევაში, ის შეიძლება გამოყენებული უნდა იქნას სხვა მიზნებითაც, მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის, საერთაშორისო სტანდარტების და თქვენი ტესტირების უფლებამოსილების მქონე ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესების თანახმად. ეს მიზნები შეიძლება იყოს:

- შედეგების მართვა, ტესტირების არასასურველი ან ატიპური შედეგის გამოვლენის შემთხვევაში, ტესტირების ნიმუშზე ან სპორტსმენის ბიოლოგიურ პასპორტზე დაყრდნობით;
- იშვიათ შემთხვევაში - გამოძიების ან მასთან დაკავშირებული პროცედურებისთვის, ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე ეჭვის არსებობის კონტექსტში.

ინფორმაციით მოსარგებლეთა სახეები

თქვენი პირადი ინფორმაცია, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო დოკუმენტაცია, შეიძლება გაზიარებულ იქნას შემდეგ მხარეებთან:

- თგგ-ს მინიჭებაზე, უარყოფაზე ან აღიარებაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციები; აგრეთვე სხვა ორგანიზაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებზეც ახდენენ მოვალეობათა დელეგირებას აღნიშნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები. თგგ-ს მინიჭების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება ეცნობება აგრეთვე თქვენს ტესტირებაზე უფლებამოსილ ორგანიზაციას და/ან შედეგების მართვაზე უფლებამოსილ ორგანიზაციას;
- WADA-ს შესაბამისად უფლებამოსილი პირები;
- თითოეული შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციის და WADA-ს თგგ კომიტეტების წევრები;
- საჭიროების შემთხვევაში - სხვა დამოუკიდებელი სამედიცინო, სამეცნიერო ან იურიდიული მიმართულების ექსპერტები.

გაითვალისწინეთ, რომ თგგ ინფორმაციის სენსიტიურობიდან გამომდინარე, თქვენს განაცხადზე წვდომა ექნება ანტიდოპინგური ორგანიზაციების და WADA-ს თანამშრომელთა მხოლოდ შეზღუდულ ნაწილს. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა (მათ შორის WADA-მ) თქვენი პირადი ინფორმაცია უნდა მართონ პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის (ISPPPI) შესაბამისად. თქვენი პირადი ინფორმაციის დამუშავების დეტალები შეგიძლიათ დააზუსტოთ იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, რომელსაც მიმართავთ თგგ განაცხადით.

თქვენი პირადი ინფორმაცია აიტვირთება ADAMS სისტემაშიც იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელიც ჩაიბარებს თქვენს განაცხადს; საჭიროების შემთხვევაში, მასზე წვდომა ექნება სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებსაც და WADA-საც, ზემოთ აღწერილ მიზნებთან შესაბამისად. ADAMS-ის ჰოსტინგ-სერვისი მდებარეობს კანადაში და იმართება WADA-ს მიერ. დეტალური ინფორმაცია ADAMS სისტემის და WADA-ს მიერ თქვენი პირადი ინფორმაციის დამუშავების პროცესის შესახებ იხილეთ დოუკმენტში ADAMS-ის პირად მონაცემთა უსაფრთხოების შესახებ (ADAMS Privacy and Security).

მონაცემთა სამართლიანი და კანონიერი დამუშავება

სპორტსმენის დეკლარაციაზე ხელის მოწერით თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით და აცნობიერებთ თგგ-ს პირად მონაცემთა დაცვის პოლიტიკას. ანტიდოპინგური ორგანიზაციები და ზემოთნახსენები სხვა მხარეები მიიჩნევენ, რომ თქვენი ხელმოწერა ადასტურებს თქვენს თანხმობას თქვენი პირადი ინფორმაციის დამუშავებაზე, მოცემულ ჩანაწერში აღწერილი სახით, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად. ალტერნატიულ შემთხვევაში, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა შეიძლება თქვენი პირადი ინფორმაციის დამუშავება მოახდინონ კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებზე დაყრდნობითაც, ამ ჩანაწერში აღწერილი მიზნებით, როგორიცაა: ანტიდოპინგური სისტემის მიერ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების სამსახური; თქვენდამი კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; იურიდიული ვალდებულების ან სავალდებული იურიდიული პროცესის მიმართ შესაბამისობის უზრუნველყოფა; მათ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების აუცილებლობა.

უფლებები

პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის (ISPPPI) თანახმად, თქვენს პირად ინფორმაციასთან მიმართებაში გაქვთ უფლებები: როგორიცაა: თქვენი პირადი ინფორმაციის ამსახველი9 დოკუმენტაციის ასლის ფლობის უფლება; აგრეთვე, გარკვეულ გარემოებებში, პირადი ინფორმაციის შესწორების, დაბლოკვის ან წაშლის უფლება. შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება გქონდეთ აგრეთვე დამატებითი უფლებებიც, როგორიცაა თქვენის ქვეყნის პირად მონაცემთან დაცვის მარეგულირებელ უწყებაში საჩივრის შეტანის უფლება.

იმ შემთხვევაში, როცა თქვენი პირადი ინფორმაციის დამუშავება ხდება თქვენს მიერ განცხადებული თანხმობის საფუძველზე, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გააუქმოთ აღნიშნული თანხმობა, მათ შორის თქვენი ექიმისთვის მიცემული ნებართვა თქვენი სამედიცინო ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე, რომელიც აღწერილია *სპორტსმენის დეკლარაციაში*. ამისთვის, ამ გადაწყვეტილების შესახებ უნდა აცნობოთ თქვენს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და თქვენს ექიმ(ებ)ს. თუ თანხმობას გააუქმებთ, ან თუ არ ეთანხმებით ამ ჩანაწერში აღწერილ პირადი ინფორმაციის დამუშავებს პროცესს, სავარაუდოდ, თქვენი თგგ განაცხადი უარყოფილი იქნება, რადგან ანტიდოპინგური ორგანიზაციები ვერ შეძლებენ მის სწორად და სრულყოფილად განხილვას ანტიდოპინგური კოდექსის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

იშვიათ შემთხვევაში, ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შეიძლება მოუწიოთ, განაგრძონ თქვენი პირადი ინფორმაციის დამუშავება ანტიდოპინგური კოდექსის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თქვენი უარის, ან თანხმობის გაუქმების მიუხედავად. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებული გამოძიება ან საქმის წარმოება; აგრეთვე თქვენთან, WADA-სთან და/ან სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან დაკავშირებული სარჩელების შედგენის, დამუშავების ან მათგან დაცვის პროცედურები.

უსაფრთხოება

თგგ განაცხადში მოცემული ინფორმაცია, მათ შორის თანმხლები სამედიცინო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, აგრეთვე თგგ მოთხოვნის განხილვისთის საჭირო ნებისმიერი სხვა ინფორმაცია მოპყრობილ უნდა იქნას მკაცრი სამედიცინო კონფიდენციალობის პრინციპების დაცვით. თგგ კომიტეტის წევრ ექიმებს და სხვა ექსპერტს კონსულტანტებს ხელი უნდა ჰქონდეთ მოწერილი კონფიდენციალობის შესახებ შეთანხმებაზე.

პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის (ISPPPI) თანახმად, კონფიდენციალობის შესახებ შეთანხმებაზე ხელი უნდა ჰქონდეს მოწერილი ანტიდოპინგური ორგანიზაციის პერსონალსაც, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა კი უნდა გაატარონ პირადი ინფორმაციის დაცვის და უსაფრთხოების მკაცრი ღონისძიებები თქვენი პირადი ინფორმაციის დასაცავად. ISPPPI ანტიდოპინგური ორგანიზაციებისგან მოითხოვს უმაღლესი დონის უსაფრთხოებას თგგ ინფორმაციასთან მიმართებაში, ამ ინფორმაციის განსაკუთრებული სენსიტიურობის გამო. ADAMS სისტემაში უსაფრთხოების დაცვის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ბმულზე ADAMS Privacy and Security FAQs, პასუხში კითხვაზე: How is your information protected in ADAMS?

შენახვა

თქვენი პირადი ინფორმაცია შეინახება ანტიდოპინგური ორგანიზაციების (მათ შორის WADA-ს) მიერ ISPPPI-ს დანართ A-ში მითითებული შენახვის პერიოდებით. თგგ მოწმობები ან უარყოფითი გადაწყვეტილებები შენახება 10 წლით. თგგ განაცხადები და თანმხლები სამედიცინო დოკუმენტაცია შეინახება 12 თვით თგგ-ს ამოწურვის ვადიდან. არასრული თგგ განაცხადები შეინახება 12 თვით.

საკონტაქტო ინფორმაცია

თქვენი პირადი ინფორმაციის დამუშავების შესახებ კითხვებით მიმართეთსაქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს[3] მისამართზე infogada@gmail.com. WADA-ს შეგიძლიათ მისწეროთ მისამართზე privacy@wada-ama.org.

გთხოვთ, სრულყოფილად შევსებული განაცხადი გაუგზავნოთ საქართველოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ელექტრონულ მისამართზე infogada@gmail.com ან ატვირთოთ ADAMS სისტემის საშუალებით. ასლი შეინახეთ.